ხუთწლედი — ჟილიონთა საქმე!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 თებერვალი სამშაბათი 1972 წელი 2 ქაღ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 32 (15245)

ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲤᲐᲡᲓᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ რძის კომბინატმა გამართულად და რიტმულად იმუშავა ხუთწლედის პირველ წელს. ამაში ხელი შეგვიწყო სოციალისტურმა შეჯიბრებამ. საწარმოს კოლექტივმა წარმოებ. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 102,3 პროცენტით შეასრულა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებითა და მასალებისა და ნედლეულის ყაირათიანი ხარჯვით კომბინატმა 216 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

საწარმომ განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად იშრომა მეოთხე კვარტალში. მიღწეული შედეგებით გავიმარჯვეთ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოვიპოვეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

კომბინატის კოლექტივმა ხუთწლედის მეორე წლის პირველი დღეებიდანვე კიდევ უფრო გააძლიერა შრომის ტემპი და მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა იანვრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება განაღდებულია 100,6 პროცენტით, რეალიზაციისა — 100,3 პროცენტით, რძისა და რძის პროდუქტებისა — 100,1 პროცენტით.

Თ. ᲛᲐᲚᲚᲐᲙᲐᲚᲘᲫᲔ,
თბილისის რძის კომბინატის დირექტორი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ (დირექტორი ე. ტაბატაძე) კოლექტივმა იანვარში პროდუქციის რეალიზაციის დავალება 101,4 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით შეძლო 12 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

მეტრიკოტაჟელებმა მთავარი ყურადღება დაუთმეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და ასორტიმენტის გაფართოებას. იანვარში ათი თვისის სამი ახალი მოდელის ნაწარმის გამოშვება.

შრომაში დაწინაურდნენ და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებენ მკერავები ნ. ნონიაშვილი, ფ. ტუნი, ო. ჩხიტაური, მღებავი ვ. ჩავლეიშვილი, მჭოველი ს. ჩახვაშვილი.

ᲡᲐᲠᲘᲐᲠᲘᲡᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ

ᲙᲣᲘᲑᲘᲨᲔᲕᲘ. (სოკ. კორ.). გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის პროდუქციას ჩვენი ქვეყნის 100-მდე საწარმო იღებს. აქაური ტრანსფორმატორები იგზავნება ირანში, ბულგარეთში და სოციალისტური ევროპის სხვა ქვეყნებში. ქარხანამ გასულ წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვა 40 ათასი მანეთის ელექტრომოწყობილობა.

გელათელებმა გადაწყვეტეს ახალ სამეურნეო წელს არ შეანელონ მუშაობის ტემპი, ამრომონ უფრო ნაყოფიერად. აქ იანვრის დავალება გადაჭარბებით შესრულდა. ქარხანამ დაიწყო ახალი პროდუქციის — საჩარხო ტრანსფორმატორების სერიული გამოშვება. ყოველდღიურად ათობით ცალი საჩარხო ტრანსფორმატორი, ასობით გაზომვითი ტრანსფორმატორი და ელექტროტუმელი გამოდის ქარხნის სამკროებიდან.

კარგად მუშაობს მეორე ცვლის კოლექტივი, რომელიც ყოველდღიურად 40-45 ცალ საჩარხო ტრანსფორმატორს ამზადებს.

ახალი წლის ახალი პროდუქცია უკვე მიიღეს ჩვენი ქვეყნის საწარმოებმა.

ᲒᲔᲒᲛᲐ — ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის წლის პირველი დღეებიდანვე ორგანიზებულად დაიწყო შრომა № 3 წისქვილკომბინატის (დირექტორი გ. ჯორჯიაშვილი) კოლექტივმა და იანვრის დავალება გადაჭარბებით შეასრულა. აქ ნატურპროდუქციის გამოშვების გეგმას 900 ტონით გადაჭარბეს, საერთო პროდუქციის დავალება 110,4 პროცენტით გაანაღდეს, გეგმის გადამეტებით 120 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

მოწყობილობის რაციონალურად გამოყენებისა და მოცდენათა შემცირების შედეგად შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 6,1 პროცენტით ამაღლდა, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით — 8 პროცენტით.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც შ. ნადირაძე, კ. სააკოვი და ლ. დავლიანიძე ხელმძღვანელობენ.

ᲐᲚᲖᲠᲓᲐ — ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ხუთწლედი — ვადამდე! — ასეთია საბჭოთა ხალხის შრომისა და ცხოვრების დევიზი. სწორედ ამ დევიზით მიმდინარეობს მთელ ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება.

შრომის ამ პათოსს თავისებურად ეხმაურება საბჭოთა სკოლა, მუდამ ერთგული დიდი ამოცანისა — სამშობლოს აღუზარდოს ღირსეული მოქალაქე, კომუნიზმის შეგნებული მშენებელი, საფუძვლიანი ცოდნით აღჭურვილი ადამიანი.

სოციალისტური შეჯიბრების მთავარი მუხლი ამ ფრონტზე—ეს არის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება და მოსწავლეთა ქცევის მაღალი კულტურა.

მეცხრე ხუთწლედის პირველმა წელმა ახლანდელს მემკვიდრეობად დაუტოვა უდიდესი წარმატებანი სახალხო განათლების დარგში. ჩვენი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში სწავლობდა 49 მილიონზე მეტი კაცი. ტექნიკუმებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში—4,4 მილიონი, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებელში—2,5 მილიონი კაცი რვაწლიანი სკოლა დაამთავრა 4,7 მილიონმა კაცმა, ხოლო საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლა 2,7 მილიონმა კაცმა. ამასთან საღამოს (ცვლიან) ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სრული და არასრული საშუალო განათლება მიიღო მილიონამდე ქალიშვილმა და ჭაბუკმა, გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში იყო 5,6 მილიონი ბავშვი. ი. ნორჩი თაობის, ახალგაზრდობის აღზრდისათვის ლენინური ზრუნვის მაგალითები მეტყველ ციფრებში. მომდინარე წელი უფრო დიდი გაქანების, ახალ წარმატებათა წელი იქნება. ამის საწინდარია პარტიის XXIV ყრილობის გადწყვეტილებებიო, მეცხრე ხუთწლედით დასახული დიადი პროგრამა საბჭოთა სკოლის მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისა.

ხალხის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების ამოცანის თანახმად მეცხრე ხუთწლედით დასახულია განხორციელდეს სახალხო განათლების შემდგომი ყოველმხრივი განვითარება, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფა; მთავარი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის გაძლიერებას ახალგაზრდობის მიდრეკილებათა და კვალიფიციურ კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების გათვალისწინებით. ყველა ღონისძიებით უნდა განხორციელდეს ძირითადი ამოცანა — საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრება. ამ ამოცანის გადაწყვეტას უპირველეს ყოვლისა საფუძველად უდევს რვაწლიანი სკოლის შემდგომი სრულყოფა, ის, რომ რვაწლედის დამთავრების შემდეგ მთელი ახალგაზრდობა ამა თუ იმ საშუალო სკოლაში სასწავლებლად მიდიოდეს.

თვითეულ მოსწავლეს ღრმა და მტკიცე ცოდნა!— ახეთი დევიზით მუშაობისათვის მოუწოდებენ მოსკოველი პატრიოტები თავიანთ კოლეგებს, მთელ ჩვენს ქვეყანაში. დედაქალაქის მოწინავე პედაგოგებმა და სახალხო განათლების მუშაკებმა გადაწყვეტეს ფართოდ გაშალონ მუშაობა გაკვეთილის სრულყოფისათვის, იმისათვის, რომ ყოველი მასწავლებელი უფრო ღრმად დაეუფლოს პედაგოგიურ ოსტატობას ჩვენი რესპუბლიკის სკოლები თანაბრად ეხმაურებიან მოსკოველი პატრიოტების—მასწავლებლების ამ ინიციატივას, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ათმაღლონ ინდივიდუალური წარმატების დონე, აღმოფხვრან მეორეწლეობობა, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საუკეთესო გამოცდილება გადადონ პედაგოგთა მასების კუთვნილებად.

რედაქციაში ცოტა სიგნალი როდი მოდის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონის გამო. წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალის საშუალო სკოლაში სწავლობის, კერძოდ, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების დაბალი დონის შესახებ რედაქციამ მოკლე დროში ოთხი სიგნალი მიიღო.

გალის რაიონის სოფლების ხუმუშქურისა და ფიჩორის, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ცაგერას რვაწლიან, ამავე რაიონის სოფელ არადუს საშუალო სკოლებში ცალკეული საგნების სწავლება ჩამორჩება.

ჩვენმა პედაგოგებმა სწავლა-აღმზრდელობითს მუშაობაში ახალი წარმატებებით უნდა უპასუხონ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას. მთდამი ეს ზრუნვა კი ჭეშმარიტად დიდი და მშობლიურია. საქართველოში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან საბჭოთა კავშირის და სოციალისტური შრომის გმირები; მთელი არმიაა ამ მასწავლებლებისა, რომლებიც სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით არიან დაჯილდოებულნი; ათასობით პედაგოგს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება, მრავალი პედაგოგი დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით. დახელოვნების ინსტიტუტი და მათი ფილიალები, კონსულტაციები, გადასამზადებელი კურსები ხელს უწყობენ მასწავლებელთა კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებას, პედაგოგიურ დოსტატებას.

რესპუბლიკაში თვალსაჩინო შედეგები იქნა მოპოვებული 1971-1972 სასწავლო წლისათვის მზადებაში. გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გასატარებლად და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის დიდ მუშაობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სკოლებს დაუბრუნეს 7-15 წლის 1250 ბავშვი, რომლებიც წინა წლებში ჩამორჩნენ, სწავლას. სახიამოვნოა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში რვაკლასდამთავრებულთა 83,5 პროცენტი სწავლას განაგრძობს ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების IX კლასებში. დიდი მუშაობა გაწიეს რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებმა სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში. ამ მხრივ მათ მიერ დახარჯულია 4,884 მილიონი მანეთი. მარტო ქალაქ თბილისში სხვადასხვა ორგანიზაციებმა სკოლების კეთილმოსაწყობად დახარჯეს 1.434.673 მანეთი. ასევე საგრძნობი თანხები დახარჯა ზუგდიდის, ქარელისა და სხვა რაიონებში.

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით 1971-1972 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიეკუთვნათ ზუგდიდისა და ქარელის რაიონებს და თბილისს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები წილად ხვდათ ხელვაჩაურს, გორისა და მახარაძის რაიონებს.

მოწინავეთა გამოცდილება — ყველას! ამჟამად გაჩაღებულია სოციალისტურმა შეჯიბრებამ 1972-1973 სასწავლო წლისათვის უკეთ მზადების საქმეში ახალი წარმატებები უნდა მოგვიტანოს.

მტკიცედ უნდა შევიგნოთ, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება სეზონური საქმე არ არის.

სკოლისათვის ზრუნვა უპირველესი ამოცანაა. მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა — ეს დიდნაწილ ვნელოვანი საქმე — ანდა სახელმწიფომ ჩვენს სკოლას, პედაგოგიურ კოლექტივებს. მეცხრე ხუთწლედის მეორე წელმა სახალხო განათლების ფრონტზე ღრმა და კეთილი კვალი უნდა დატოვოს, ყოველი გაკვეთილი, ყოველი დღე უნდა ემსახურებოდეს ნორჩი თაობის სრულყოფილად აღზრდას. ამას გვაკალებენ პარტია და მთავრობა, ამას გვიკარნახებს ცხოვრება.

ᲕᲔᲚᲘᲡᲪᲘᲮᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲘ

ᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ რაიონის ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ გამგეობა, რომელიც 5 თებერვალს აირჩია საანგარიშო-საარჩევნო კრებამ.
მასალები ამ კრების შესახებ იხილეთ ჩვენი გაზეთის მეორე გვერდზე

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

7 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში დიულო რაპაი მეუღლითურთ.

ვიზიტზე დ. რაპაის დასვენენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ა. ჭოღოშვილი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი ტურიზმის სამმართველოს უფროსის მოადგილე ზ. პ. მახარაძე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო განყოფილების გამგე გ. ა. ჭიპაშვილი. (საქდესი).

ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲛᲘᲬᲐᲡᲐᲬᲝᲕᲘ

ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘᲡ ხორეზმის ოაზისში წარმატებით გაიარა სახელმწიფო ამოცდა „მზ-5“ მიდრეკილებიანი მიწასაწოვმა, რომელიც, ფოთის მიდრომექანიკურ მანქანათსაშენებელ ქარხანაში ადგილობრივი საბჭოების სპეციალურად გათვალისწინებულია შუა აზიის სარწყავი ზონებისათვის. აქ ახალ მექანიზმს დაავალეს შლამისაგან გაეწმინდა ტბის უზარმაზარი კოლექტორი, რომლითაც აწარმოებენ მინდვრებიდან მლაშე წყლის გადაგდებას.

თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, რომელთა ტუმბოს ვემბანზე დგამდნენ, „მზ-5“ მთლიანად ჩაშვებულია წყალქვეშ. ეს მოწყობილობას ეხმარება გაეფხვიეროს შლამი ფენები და ერთი საათის განმავლობაში ამოიღოს 500 კუბურ მეტრამდე პულპი. აგრეგატი პატარა ზომისაა, რაც მას საშუალებას აძლევს მიუდგეს ყოველგვარი კვეთის არხს. (საკდესი).



ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ Ვ. Პ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲐᲜᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ

ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დიულო რაპაი 7 თებერვალს ვიზიტად ეწვია საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მელიქიანიძესთან და ამ. ნ. ბაქრაძესთან.

Ვ. Პ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲐᲜᲘᲫᲔᲡ და Მ. ᲠᲐᲞᲐᲘᲡ შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი Შ. Მ. ᲙᲘᲠᲘᲜᲐᲫᲔ. (საქდესი).

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დიულო რაპაი 7 თებერვალს ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოადგილეს, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შ. მ. კიკნაძეს. გაიმართა გულთბილი, ამხანაგური საუბარი.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო განყოფილების გამგე გ. ა. ჭიპაშვილი. (საქდესი).

ᲛᲮᲝᲚᲝᲚᲝᲓ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

□ **ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ.** ჩვენი ქვეყნის უძველესი საწარმო — ლენინგრადის კოკს-გაზის ქარხანა შეუდგა ახალი პროდუქციის გამოშვებას. საწარმო სპეციალდება ლითონის, კერამიკისა და მჭრელი ინსტრუმენტის დამზადებაზე, რაც საშუალებას მისცემს თავიდან აიცილოს გარემოს გაჭუჭყიანება.

□ **ᲡᲣᲛᲒᲐᲘᲗᲘᲗᲘ.** (აზერბაიჯანის სსრ.). სუმგაითის ალუმინის ქარხნის არსებობის 17 წლის მანძილზე აქ პირველად მიიღწია ალუმინის ყველაზე დიდ გამოშუშავებას. დამთავრდა მოწყობილობის რეკონსტრუქცია: ელექტროლიზის აბაზანებში შეიცვალა დენის გამტარი სალტეები, გაზიდდა ანოდების კვეთი, ყველა ელექტროლიზერი ჩაირთო „სიუმენის“ დანადგარში, რომელიც ავტომატურად აწესრიგებს საპოლუსთაშორისო მანძილს ანოდებზე და თავიდან იცილებს ტექნოლოგიური პროცესის დარღვევას.

□ **ᲔᲠᲛᲐᲙᲘ** (პავლოდარის ოლქი). ერმაკის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალ საამქროში მიიღეს პირველი პროდუქცია — 40-პროცენტიანი ფეროსილიციუმი, რომელსაც იყენებენ ფოლადის გამოდნობის დროს. ხუთწლედის განმავლობაში საწარმოს სიმძლავრე ერთისამად გაიზრდება.

□ **ᲐᲨᲮᲐᲑᲐᲓᲘ.** მურღაბის ველზე, შენდება ძძლავრი გაზშესაკრები პუნქტი, რომელსაც მიეუერთდება შატლიის საბადოს პირველი სამი საექსპლოატაციო ჭაბურღილი. შემუშავებულია ამ უნიკალური გაზგამდენსატის საბადოს ექსპლოატაციის პროექტი. უკვე სამი წლის შემდეგ შატლიკი ქვეყანას მისცემს 35 მილიარდ კუბურ მეტრ საბობს.

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲡᲐᲛᲘ დღე გაატარა საქართველოში ირანის ფინანსთა მინისტრმა ჯამშიდ ამუზგარმა. რესპუბლიკაში ყოფნის უკანასკნელ დღეს იგი ეწვია საქართველოს სახელმწიფო მეზეიმისა და ხელოვნების მუზეუმს. მოიკიდა ირანიათი შესაძლებლობა, თქვა სტუმარმა, მენახა ქართული მინანქრების უნიკალური კოლექცია.

ირანის მინისტრი დიდი ინტერესით ეცნობოდა ირანის ძველი ხელოვნების ექსპოზიციას. მან დაათვალიერა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი XVIII-XIX საუკუნეების დაზგური ფარეულის ნაწარმოებები. ახსნა-განმარტებას იძლეოდა ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, „სსრ კავშირ-ირანის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე შ. ი. ამირანაშვილი.

ილაპარაკა რა საქართველოში მიღებულ მოიაზეკლილებებზე, ჯამშიდ ამუზგარმა მაღალი შეფასება მისცა ქართველი ხალხის წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

კვირას, 6 თებერვალს ჯამშიდ ამუზგარი და მისი თანმხლები პირნი მოსკოვში ვიფრინდნენ. აეროდრომზე სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ა. ვ. ჭინარაძემ, რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკებმა. (საქდესი).

ᲒᲘ�გᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲕᲐᲚᲗᲝ

ᲑᲐᲠᲐᲙᲝᲕᲘᲡ ლენინის ორდენოსან კიროვის სახელობის ტურბინის ქარხანაში დამთავრებულია პირველი სფერული ჰიდროსაკეტის დამზადება ნურეკის ჰიდროელექტროსადგურისათვის (ტაჯიკეთის სსრ). ეს გიგანტური საკვალთი, რომლის წონა 600-მდე ტონაა, და დიამეტრი ოთხ მეტრზე მეტი, განკუთვნილია საწნეხი მილსადენის გადასახურავად. სურათზე: საკეტი ქარხნის ჰიდროტურბინის საამქროში.



ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲒᲘᲡ ᲓᲐᲠᲐᲯᲘ

ᲣᲙᲐᲠᲘᲜᲘᲡ და მოლდავეთის, სომხეთისა და საქართველოს, აზერბაიჯანისა და ტაჯიკეთის მეგენახეებს გაუგზავნეს ომმ-400 ახალი სასხურებლების პირველი პარტია, რომლებიც ლვოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანამ დაამზადა. ეს სასხურებლები განკუთვნილია ვენახების სასოფლო-სამეურნეო მავნებლებთან ქიმიური ბრძოლისათვის. აგრეგატების მთავარი ღირსება ის არის, რომ შეუძლიათ იმუშაონ ყველა ტრაქტორზე, აგრეთვე არიან კომპაქტური და მცირე წონის (სამ-ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე მათი წინამორბედები), გამძლენიც არიან და სამართავადაც ადვილი. ერთ საათში სასხურებლის საშუალებით შეიძლება 2,2 ჰექტარი ვენახის დამუშავება. (საკდესის კორ.).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ბუაჩიძის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკაში მზადება საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის.

სხდომაზე აღინიშნა, რომ განხორციელდა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის მზადების მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. 1970-1971 სასწავლო წელს რვაწლიანი განათლება მიიღო 90 ათასამდე ბავშვმა. გაიზარდა მოსწავლეთა მიღება საშუალო სკოლების მე-9 კლასებში, ტექნიკუმებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში. მნიშვნელოვნად განმტკიცდა სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზა. უკანასკნელი 4-5 წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სასკოლო შენობები 150 ათასი ბავშვისათვის.

რესპუბლიკის ბევრ რაიონსა და ქალაქში სკოლისათვის ზრუნვა საყოველთაო სახალხო საქმე გახდა. აჭარის ასს რესპუბლიკაში, თბილისში, ქუთაისში, ჭიათურაში, რუსთავში, მახარაძის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ლანჩხუთისა და სხვა რაიონებში კოლმეურნეობებმა და სამრეწველო საწარმოებმა სკოლების ქსელს ათობით კეთილმოწყობილი შენობა შემატეს.

მაგრამ ამასთანავე, როგორც სხდომაზე აღინიშნა, საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის მზადების მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. 1970-1971 სასწავლო წელს რვაწლიანი განათლება მიიღო 90 ათასამდე ბავშვმა. გაიზარდა მოსწავლეთა მიღება საშუალო სკოლების მე-9 კლასებში, ტექნიკუმებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში. მნიშვნელოვნად განმტკიცდა სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზა. უკანასკნელი 4-5 წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სასკოლო შენობები 150 ათასი ბავშვისათვის.

ᲛᲠᲨᲛᲝᲚᲗᲐ დეპუტატების ზოგიერთი რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას, ნაკლებად იყენებენ ადგილობრივი საბჭოების სახალხო განათლების მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების დიდ შესაძლებლობებს.

ჯერ კიდევ სუსტია ზოგიერთი სკოლის მატერიალური ბაზა. ზოგი მათგანი უზრუნველყოფილი არ არის ავეჯით, საჭირო ინვენტარით.

ბავშვები, რომლებიც შორს ცხოვრობენ, ყველგან როდი დაპყავთ სკოლაში და შინ მანქანებით. არ ხდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდების სრულად ათვისება.

რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ დაბალია სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა აკადემიური წარმატება. იშვიათი როდი კლასში დარჩენის შემთხვევები.

დამაკმაყოფილებლად არ სრულდება დადგენილება სოფლის მასწავლებელთა უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ (ბინა, განათება, გათბობა).

ნელი ტემპებით შენდება საცხოვრებელი სახლები სოფლის სკოლების მასწავლებლებისათვის.

ბევრ სკოლა-ინტერნატში შექმნილი არ არის ბავშვების ცხოვრებისა და სწავლის ხელშემწყობი პირობები.

კომისიამ მოისმინა აგრეთვე თავისი მდივნის დეპუტატ ვ. სურგულაძის მოხსენება სამტრედიისა და ცხინვალის სპეციალური სკოლების მუშაობის შესახებ. როგორც აღინიშნა, ამ სკოლებში ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მაღალ დონეზე იყოს და კიდევ უფრო განმტკიცდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სამტრედიის სპეციალურ სკოლაში მეცადინეობს 105 ძნელად აღსაზრდელი ბავშვი, ცხინვალის სპეციალურ პროფტექნიკურ სასწავლებელში — 97 ბავშვი. მიმდინარე წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით წარმატება შესაბამისად შეადგენდა 83,8 და 80 პროცენტს.

შემცირდა არასაპატიო მიზეზით დაცდენების რაოდენობა, ამაღლდა სწავლების დონე. შემოწმებული სკოლების კოლექტივები დიდ მუშაობას ეწევიან კლასში დარჩენის ლიკვიდაციისათვის.

ორივე სკოლის ყველა პედაგოგსა და აღმზრდელს აქვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება.

ცხინვალის სპეციპროფტექნიკურ ინსტიტუტში აღსაზრდელებისათვის პერიოდულად ეწყობა ლექციები. მოხსენებები. საუბრები. შექმნილია მსატვრული თვითმოქმედების წრეები, სპორტული სექციები, რომლთა საქმიანობაში ჩაბმულია მოსწავლეთა მაქსიმალური რიცხვი.

სამტრედიის რაიონული და ცხინვალის საქალაქო საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე მათი არასრულწლოვანების საქმეთა კომისიები პერიოდულად სწავლობენ და განიხილავენ დასახელებული სკოლების მუშაობას, ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამასთანავე კომისიის სხდომაზე აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი სამტრედიისა და ცხინვალის სპეციალურ სკოლების მუშაობაში.

მაგალითად, სამტრედიის სპეციალურ სკოლაში არის მოსწავლეთა მხრივ დისციპლინის დარღვევის ფაქტები. ცუდად მუშაობს მხატვრული თვითმოქმედების წრე, სუსტად არის დაყენებული პიონერული მუშაობა.

მიმდინარე რემონტს საჭიროებს სამტრედიის სპეციალური სკოლის შენობა; ინვენტარი და ხელსაწყოები არ შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. სასადილოში არ არის გამწმენდარე ცხელი წყალი, არ იცავენ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.

საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა ა. ბერრეანმა, მ. დავითაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კ. მიქიბაშვილმა, რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილემ მ. ქოჩაკიძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილემ გ. დოლიძემ, ცხინვალის სპეციალური პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა ა. ჯიოევამ, სამტრედიის სპეციალური დირექტორმა მ. გოგუაძემ და სხვებმა.

განხილულ საკითხებზე კომისიამ მიიღო დადგენილებანი.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქდესი).

ველისციხელთა ახალი მიჯნები

ალაზნის სანაპიროზე

ბოვლის თეთრი სამოსელი ებურა იმ დღეს სოფელ ველისციხეს. მართალია, ცა მოწმენდილი იყო და მზე ანათებდა, მაგრამ ვერ ათბობდა ყინვით გათანგულ ალაზნის ველს... ზღაპრულ კბილებად აღმართული კავკასიონის ქედი, თითქოს თეთრი ყაბალახით თავი წაუკრავს და მზეზე თბებაო, ისე იდგა და ლურჯად მოკამკმე ცას დათოვლილი მხრებით ებჯინებოდა.

სოფელს შუაში ჰკვეთს ფართო გზატკეცილი, მიჰყვები ამ გზას, და თვალწინ გეშლება ხელთუქმნელი პეიზაჟები ალაზნის ველისა... რამდენი ზვრებია, რამდენი ყანა, ბაღი და ეზო, იმდენი განსხვავებული ორნამენტი მოუქარგავს ბუნებას, აუშენებია და დაუშვენებია ადამიანის ხელს... უცებ შეხედავ, და თითქოს ყოველი მონაკვეთი იმ მაღლიანი ველ-მინდვრებისა ორი წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს, კარგად დაკვირდები, და სულ სხვადასხვანაირად არიან მოქარგულ-ჩაგვირისტებული.

როგორ ჰგავს თავისი მომხიბვლელობით ეს მიდამო — ალაზნის მოხატული ველი, მის შუაგულში ვერცხლის ქამარივით დაგდებული თვითონ ალაზანი და ციდან დედამიწამდე ამ სიმშვენიერის დარაჯად დამდგარი კავკასიონი — იმ ქართულ ჩუქურთმებს, გელათსა და სვეტიცხოველს, ოშკსა და ხახულს, ვარძიასა და ნიკორწმინდას რომ ამშვენებენ, იმ ქვებში სულჩადგმულსა და თავისებურად — შოთასებურად, ბეჭესებურად ამღერებულ მარადიულ სიცოცხლეს.

აი თუნდაც ეს ეზო, უზარმაზარი ხე რომ დგას — ტანმაღალი, ტოტებდახლართული. დგას და ცივად გიყვება სოფლის ისტორიას. მის ტოტებსა და ტოტებს შუა სურო და ხვეი დაბუდებულა... ხის ტანს აკაციქერქი გახმობია, კანი დანაოჭებია და გამოფიტულა... შეჰყურებ მას და გაგონდება წარსულის სიღუჭირე, ადამიანთა უუფლებობა.

იქვე გვერდით ახალგაზრდა, ქართული ჯიშის თუთის ხეს ქოლგასავით გაეშლია ტოტები, მისი ჩრდილი თოვლზე მსუბუქად გაწოლილა. ხის ყოველ ნაკვთში სიახლე და სიცოცხლე იგრძნობა, გიტაცებს, გაიმედებს.

დიახ, სოფელ ველისციხეს აქვს თავისი ძველი და ახალი... წარსულის მოგონება და თანამედროვეობის სიამტკბილობა.

სოფლის ცენტრში ორსართულიანი, თაღებიანი შენობის ერთი ფართო და სინათლიანი ოთახი დათმობილი აქვს ველისციხის წარსულისა და აწმყოს, მისი ნათელი მომავლის ამსახველ ექსპონატებს.

ბევრჯერ ათხრებულა მტრის ვერაგი ხელით ქართველის ბედის მოზიარე ეს ლამაზი სოფელი... მეისტორიე იუწყება: „...და მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრა ქალაქი კამბეჩიანი და ჭერმისა ციხე და ველისციხე...“ ვინ არ ჩაგრავდა, ვინ არ ირთმევდა ლუკმაპურს ველისციხელ ხელგმდაკოჭრილ გლეხკაცს.

ამიტომაც დაღვარეს სისხლი, გადაიგდეს კისრიდან მონობის, სიღარიბის უღელი 1921 წელს. შემდეგ კი... საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებიდან რამდენიმე თვე რომ გავიდა, ველისციხელი ღარიბი, შრომისმოყვარე გლეხები შეერთდნენ და დააარსეს კომუნა „შრომის სამეფო“.

იმ მრავლისმეტყველ ოთახში თვალსაჩინო ადგილას არის მიხატული ამ კომუნის პირველი ორგანიზატორები ოსიპ ჩეკურიშვილი და შაქრო შოშიაშვილი. მათ მაშინ თორმეტი კომლი გაჰყვა ცხოვრების ამ ახალ გზაზე. კომუნის ავლადიდებას წარმოადგენდა შვიდი ჰექტარი სახნავი მიწა, ექვსი ჰექტარი — ვენახი, ორი მარანი, ორი წყლის წისქვილი, ოთხი გუთანი და ხუთი ცხენი.

ეს იყო და ეს... „ეკონომიურად ღარიბი იყო ველისციხის პირველი კომუნა, — წერს სოფლის მემატიანე, — სამაგიეროდ მდიდარი იყო ახალი დიდი საქმეებით, დაუოკებელი ლტოლვით თავისუფალი შრომისაკენ“.

გავიდა წლები. სოფელი ფეხზე წამოიმართა. გლეხობამ იწამა კოლექტიური შრომის სიდიადე, საერთო ძალით უხვი მოსავლისათვის ბრძოლის სიკეთე და 1930 წელს შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო არტელი. ნოყიერი მიწა, შრომის სიყვარული თანდათან ფეხზე აყენებდა გლეხკაცის ოჯახებს. სოფელში ტრაქტორი მომრავლდა, მრავალი სიახლე დაინერგა მარცვლეულის, ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად.

სოფლის მემატიანე იმ ოთახში კიდევ ერთ ასეთ საინტერესო ციფრებს გვაწვდის: „1936 წელს კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ ამუშავებდა 55 ჰექტარ ვენახს, 3 ჰექტარზე თესავდა საზამთროს, ჰყავდა 168 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 36 მუშა ცხენი. ჰქონდა 7 წყლის წისქვილი. მაშინ განუყოფელ ფონდში ჰქონდა (ძველი ფულის კურსით) 1.409.277 მანეთი, წლიური ფულადი შემოსავალი უდრიდა 1.004.009 მანეთს. ერთ შრომადღეზე განაწილდა 10 მანეთი და 55 კაპიკი“.

1971 წელს კი... კოლმეურნეობას ვენახი გაშენებული აქვს 649 ჰექტარზე. მისი მოვლა-დამუშავება მთლიანად მანქანებით ხდება. კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი (ფულის ახალი კურსით) 2.597.535 მანეთს უდრის. ერთი კაცდღის ღირებულებამ შეადგინა 6 მანეთი და 68 კაპიკი. ახლა განუყოფელ ფონდში აქვთ 3.395 ათასი მანეთი. დიდი თანხა დაბანდებული აგრეთვე სხვა საზოგადოებრივ ფონდებშიც.

შარშანდელი 1971 წელი, როგორც იტყვიან, ჭირვეული იყო მთელ საქართველოში. სიცხემ და გვალვებმა ველისციხესაც შეუტია, მაგრამ კოლმეურნეთა სიმამაცემ, აგროდონისძიებათა სწორფად და დროულად მოწყობამ, მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვამ, რწყვის კარგმა ორგანიზაციამ დასძლია ყველა სიძნელე და კოლმეურნეობამ სამეურნეო წელი დიდი წარმატებით დაამთავრა.

და აი, მიმდინარე წლის 5 თებერვალს ველისციხის კულტურის სახლის შენობაში შეიკრიბნენ კოლმეურნეები, რათა მოესმინათ 1971 წელს გმგეობის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, ემსჯელათ, ანალიზი გაეკეთებინათ მეურნეობის ყოველი დარგისათვის, გამოეკვლიენინათ ახალი რეზერვები და დაესახათ მომავალი მუშაობის კონკრეტული ამოცანები.

საანგარიშო-საარჩევნო კრება — ეს არის კოლმეურნეთა დიდი ფორუმი, სადაც წყდება სოფლის უპირველესი სასიცოცხლო საკითხები. როგორც წესი, ამ კრებისათვის კოლმეურნე გულმოდგინედ ემზადება, ანალიზს უკეთებს მთელი კოლმეურნეობის, ბრიგადის, რგოლისა და პირადად თავის შრომას. ანგარიშობს, რა გაკეთდა და რა ვერ გაკეთდა, სად აქვთ მიღწევები და სად ინიხა თავი სიზარმაცემ, სად შეიძლებოდა მეტი მოსავალი მიეღოთ და როგორ?

ასე იყო იმ დღესაც...

გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრების დარბაზში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მაგრამ გულახდილად უნდა ითქვას, რომ წყლის ყადრი ყველა ჩვენმა კოლმეურნემ და მექანიზატორმა როდი იცის. ჯერ კიდევ დაბალია რწყვის კულტურა.

უხვირო რწყვის შედეგად ბევრი საურმე და ვენახის გასადეკარი გზა დაიტბორა და რთველისათვის მზადების პერიოდში ზედმეტი შრომა გაწეოთ იმისთვის, რომ ვენახში მისასვლელი გზები წესრიგში მოგვეყვანა.

ბედნიერება ის არის, რომ ახლოს ვართ ალაზნის მაგისტრალურ არხთან და ყოველთვის შეგვიძლია გულუხვად ვისარგებლოთ ამ სიკეთით. მაგრამ ჩვენი მრწყველები ანგარიშს უნდა უწევდნენ სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებსაც, რომელთაც წყლის სმაცირის გამო პატარა ნაკადულები მიედით.

რწყვის კულტურის აძალებისათვის ზრუნვა თვითეული ბრიგადირის, მექანიზატორის გადაუდებელი საქმეა.

კოლმეურნეობა ბევრი სიახლისა და ინიციატივის ავტორია. 1962 წელს კოლმეურნეობის სპეციალისტები თავიანთი სურვილით სამუშაოდ წავიდნენ საწარმოო ბრიგადებსა და მიცხოველეობის ფერმებში, იქ, სადაც უშუალოდ წყდება ყურძნის უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ბედი. ჩვენი სპეციალისტების ეს თაოსნობა, როგორც ცნობილია, მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მიიღო დადგენილება მისი სხვაგანაც დანერგვის შესახებ.

რაიონში პირველად ჩვენს კოლმეურნეობაში შემოვიღეთ შრომის ფულადი გარანტირებული ანაზღაურება და შიდასამეურნეო ანგარიში. შრომის ანაზღაურების ამ ახალმა პროგრესულმა წესმა დიდი სტიმული მისცა კოლმეურნეებს. ისინი ყოველთვის დათქმულ რიცხვში მიდიან კოლმეურნეობის სალაროსთან და იღებენ ხელფასს, წლის ბოლოს კი — დამატებით ანაზღაურებას.

შიდასამეურნეო ანგარიშმა სწორედ რომ ანგარიში ასწავლა საწარმოო ბრიგადას, მეცხოველეობის ფერმისა და სხვადასხვა წამოწყების სამეურნეო ხელმძღვანელებს. ბევრმა მათგანმა შრომითი რესურსების ყაირათიანად ხარჯვით მიიღო საგრძნობი ეკონომია, რამაც კოლმეურნეთა შრომის საზღაური კიდევ უფრო გაზარდა. ყაირათიანობის შედეგად მიღებულია 83.266 მანეთის ეკონომია. ამ ეკონომიის ნახევარი, ე. ი. 41.633 მანეთი, კოლმეურნეობის წევრებს გაუნაწილდა.

პარტია და მთავრობა დიდად ზრუნავენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ დარგის აღმავლობის კონკრეტული გეგმა დაგვისახა პარტიის XXIV ყრილობამ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს კოლმეურნეობას მცირე ბოლი აქვს და არა აქვს საშუალება ჰქონდეს საკუთარი წარმოების საკვები, ვცდილობთ, ისე მოვაწყოთ საქმე, რომ პარტიყვა წლის განმავლობაში არ მოაკლდეს უყათიანი ულუფა. სწორედ ეგეთ სწორმა ორგანიზაციამ უზრუნველყო პირუტყვის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდება საანგარიშო წელს.

ჩვენი ფერმები დაკომპლექტებულია საუკეთესო, საქმისმოყვარე მეცხოველეებით, რომელთაც მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ.

კოლმეურნეობის გამგეობა ყოველმხრივ ზრუნავს მწყემსების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. უწინ მწყემსებს ფარღალალა წნელის საბოგომში პირუტყვთან ეძინათ, ახლა კი ჩვენს მწყემსებს ყოველმხრივ მოწყობილი დასაძინებელი ოთახი აქვთ, იღებენ ტელევიზიებს.

ამ მზრუნველობას მწყემსები გვიფასებენ, მათი დამსახურებაა, რომ მეცხოველეობაში წელადობის მხრივ რაიონში პირველი ადგილი დავიკავეთ.

ცნობილია, რომ წარმატების მოპოვებისათვის გადამწყვეტი პირობაა შრომის დისციპლინა და შრომის სწორად მოწყობა. ამ მიმართულებით კოლმეურნეობის გამგეობამ სერიოზული მუშაობა გასწია. რწმუნებულთა კრებაზე, გამგეობის სხდომებზე პერიოდულად განვიხილავდით საკითხებს შრომის ორგანიზაციისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ, და ამას უკვალოდ არ ჩაუვლია.

1971 წელი კოლმეურნეობისათვის ბარაქიანი წელი იყო. კოლმეურნეთა ბეჯითი შრომის შედეგად კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობა კიდევ უფრო განმტკიცდა და განვითარდა.

დღეს ჩვენს წინაშე დგას ახალი დიდი ამოცანები. თავის დროზე გულდასმით დავგეგმეთ კოლმეურნეობის მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის სამუშაოები. იგი ითვალისწინებს ყურძნის, მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვეს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის კოლმეურნეები ძალღონეს არ დაიშურებენ.

წასაგარიშო-საარჩევნო კრებას სარევიზიო კომისიის ანგარიში წარმოუდგინა სარევიზიო კომისიის წევრმა **ვლ. ბრაგვაძემ.**

მეევნახეთ გვალვა დაამარცხა

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი. ბრიგადირები, მერგოლურები, რიგითი კოლმეურნეები ღრმა ანალიზს უკეთებდნენ 1971 წელს კოლმეურნეობის შრომით საქმიანობას, აღნიშნავდნენ მიღწეულებსა და ჯერ კიდევ გამოუყენებელ შესაძლებლობებს და სახავდნენ ახალი ხუთწლედის მეორე წლის კონკრეტულ ამოცანებს.

კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადის მერგოლური **ელენე მეპარიშვილი,** რომელმაც შარშან ყურძნის მაღალი მოსავლის მიღებით თავი ისახელა, კრებაზე შეჩერდა იმ გამოუყენებელ რეზერვებზე, რომელთა ამოქმედებით წელს ისინი იბრძოლებენ — ნაცვლად 54 ცენტნერისა ყოველი ჰექტარი ვენახიდან მოკრიფონ 75 ცენტნერი ყურძენი. ამას ისინი მიაღწევენ სიმეჩხრის ლარვიდაცემით, ზვრებში ყველა აგროღონისძიების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულების შედეგად.

— ჩვენს ბრიგადას — ამბობს მესამე ბრიგადის წევრი, მოწინავე მევენახე **არჩილ გელოვანი,** — შარშან გეგმით 26 ჰექტარი სრულმოსავლიან ნაკვეთში თვითეულ ჰექტარზე უნდა მიეღო 62 ცენტნერი ყურძენი. ჩვენ შევძელით ორმაგად შეგვესრულებინა ეს გეგმა — ჰექტარზე მოვიყვანეთ 126 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი. ეს იმ წელიწადში, როცა სიცხე და გვალვა საშინლად აწუხებდა ვაზს. წელს გვინდა არა მარტო შევინარჩუნოთ ეს წარმატება, არამედ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ იგი.

სოფელი ველისციხე ამაყობს თავისი შრომისმოყვარე ახალგაზრდობით. სად არ ნახავთ მათ — ზვრებში და ფერმაში, მემინდვრეობის ბრიგადაში და ბაღებში, ყველგან, სადაც კოლმეურნეობას ისინი სჭირდება.

ჩვენ, ახალგაზრდებმა, — აღნიშნა კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა **ომარ კაკაბაძემ,** — კარგად ვიცით, რომ რაც ლამაზი და მშვენიერია ქვეყანაზე, ბუნების ნაბოძები როდია, იგი შექმნა მშრომელი ადამიანის მარჯვენამ, შრომა არის სიკეთის სათავე და ძირითადი წყარო. ჩვენს კოლმეურნეობაში მრავალი სახელოვანი ადამიანია. ველისციხის საკოლმეურნეო ზვრებში ათი სოციალისტური შრომის გმირი გამოიზრთო. ისინი ჩვენი ახალგაზრდების სათაყვანებელი ადამიანები არიან. მივბაძოთ მათ შრომაში, ვიყოთ მათი ღირსეული მემკვიდრეები და შემცვლელები, თვითეული ჩვენთაგანის პატრიოტული ამოცანაა.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის, ჩვენი კოლმეურნეობის ახალგაზრდები პირველნი დადგნენ შრომითს ეახტზე, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და ამთავითვე შეუდგნენ მისი შესრულებისათვის ბრძოლას.

ველისციხის კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 220 კომკავშირელი. აქედან 90 კომკავშირელი ახალგაზრდული ბრიგადის წევრია, სხვები კოლმეურნეობაში სხვადასხვა უბანზე მუშაობენ — ტრაქტორისტებად, მწყემსებად, მძღოლებად.

ახალგაზრდული ბრიგადა უკლის 8 ჰექტარ მოსავლიან ვენახს, კოლმეურნეობის 5 ჰექტარ დეკორაციულ ბაღს, [illegible] ფერმებს, კომკავშირელები საქმიანობენ, შემოხვევაში ეხმარებიან მევენახეობის [illegible] ბრიგადის [illegible], ფურჩხლში, ახვევაში, მოთავლის აღებაში.

კომკავშირული ბრიგადის 20 წევრი დაუსწრებლად იღებს უმაღლეს განათლებას. ასეთია მერი ჯანჯიბეზაშვილი, ანულია შოშიაშვილი, ეკატერინე თათარაშვილი, გივი ბალაშვილი, ისინი კოლმეურნეობაშიც ენერგიულად მუშაობენ და წარჩინებითაც სწავლობენ.

შარშან ახალგაზრდულმა ბრიგადამ თვითეული ჰექტარი მოსავლიანი ვენახიდან მიიღო 127,7 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი. მოუარეს 700 გრამ აბრეშუმის ჭიას, საიდანაც მიიღეს 1.700 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი.

კრებაზე ბევრი საინტერესო საკითხი დააყენა მეფერხველეობის ფერმის გამგემ **ზაურ ყაზაროვმა.** — ჩვენ ვვეგმავთ პირუტყვის საკვებს, — თქვა მან, მაგრამ არა მის წარმოებას, არამედ — შეძენას. ეს იმიტომ, რომ საძოვრების სიმცირის გამო შესაძლებლობა არა გვაქვს ჩვენს ფართობზე დავამზადოთ პირუტყვის საკვები. მიუხედავად ამისა ბრიგადა კონცენტრირებული საკვები გვეძლევა საჭირო რაოდენობით. ეს რომ მოგვარდეს, ჩვენს სოფელში მეცხოველეობა ერთიორად გადიდდება და ამავე დროს ხელს შეუწყობს კოლმეურნეებს ინდივიდუალურ სარგებლობაშიც ჰყავდეთ წესდებით გათვალისწინებული პირუტყვი.

თუ როგორ უნდა მოუაროონ ვაზს, რას ნიშნავს მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების დანერგვა, ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ზვრები ველისციხის კოლმეურნეობის იმ ბრიგადისა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ მექვევრიშვილი ხელძღვანელობს. ეს არის კოლმეურნეობის მეშვიდე ბრიგადა. აქ 58 ჰექტარი ვენახიდან 45 ჰექტარია მოსავლიანი.

— მიწა, სადაც ჩვენი ვაზი გვაქვს გაშენებული, — აღნიშნა კრებაზე მ. მექვევრიშვილმა, — გამუდმებულ რწყვას მოითხოვს. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა შარშან. ამიტომ დღე და ღამე იქ ტრიალებდით და არა თუ შევძელით გვალვისაგან გვეხსნა ვაზი, არამედ ჰექტარზე სარეკორდო მოსავალი — 100 ცენტნერი ყურძენი მოვკრიფეთ.

კოლმეურნეობამ შარშან სასახელოდ შეასრულა ყველა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები. მაგრამ მებოსტნეობაში მაინც ჩამოვრჩით. ეს იმის შედეგია, რომ ყველი ბეჯითად როდი მუშაობდა. განა ჩვენს მებოსტნეებს არ ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ თავის დროზე მოერწყოთ ბოსტნეული, გაეთოხნათ, მოეარათ?... რასაკვირველია ჰქონდათ, მაგრამ დაეზარათ. თუ ჩვენს ბრიგადაში შარშან პამიდორის უხვი მოსავალი მივიღეთ, მაშ, რატომ ვერ შეასრულა გვემა მეზობელმა ბრიგადამ, რომელსაც ისეთივე მიწა ჰქონდა, იმდენივე ეწყალა და სხვა საშუალებანი როგორც ჩვენ, მაგრამ მოსავალი მაინც საკმაო ვერ მიიღო.

ეს წელს არ უნდა განმეორდეს. მეცხრე ხუთწლედის მეორე წელს ყველა დარგში სარეკორდო მოსავალი უნდა მივიღოთ. ამის საშუალება ჩვენ გვაქვს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ახალგაზრდა კოლმეურნეებმა **მერი ჯანჯიბეზაშვილმა,** კოლმეურნეებმა **ნუშა ბაბლიშვილმა, ვიქტორ ნარეკლიშვილმა, ლამარა ჯაკვაძემ.**

ველისციხის კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ვასილ პავლეს-ძე მეყავანაძემ.**

შარშანდელი წელი, — თქვა მან, — სკკპ XXIV ყრილობის წელი იყო, ყრილობისა, რომელმაც შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გაშლილი პროგრამა. შარშან ზეიმით აღინიშნა საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი. საიუბილეო წელს საქართველოს მშრომელებმა ჩინებული მაჩვენებლები მოიპოვეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. სოფლის მეურნეობაში ვერ შეასრულეთ მხოლოდ ყურძნის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალება. აქვე მინდა მაღლობა გრძნობით აღვნიშნო, რომ გურჯაანის რაიონის მეევნახეებმა, მათ შორის ველისციხელებმაც შარშან შესანიშნავად მოუარეს ვაზს და, მიუხედავად დიდი გვალვებისა, უხვი მოსავალი მიიღეს.

შემდეგ ამხანაგმა ვ. მეკვანაძემ ილაპარაკა სოფლის კეთილმოწყობაზე, ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე, სოფლის ახალგაზრდობის შრომითს საქმიანობაზე. ახალგაზრდობა ჩვენი საქმის განმგრძობია, სოფლის იმედია, მათ უნდა შეეუქმნათ ყველა პირობა იმისათვის, რომ ნაყოფიერად იმუშაონ, ისწავლონ და იცხოვრონ.

კარგია, რომ სოფელში მეგობრულად ცხოვრობთ, რომ ადგილი არა აქვს საერთო ცხოვრების წესების დარღვევას. ეს განამტკიცებს სოფლის წარმატებას, უფრო ხალისიანს, მიმზიდველს გახდის შრომას.

დასასრულ ვ. მეკვანაძემ ყურადღება გაამახვილა კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის განმტკიცებისა და ანაზღაურების საკითხებზე, წარმატებები უსურვა კოლმეურნეებს შრომასა და პირად ცხოვრებაში და რწმენა გამოთქვა, რომ ველისციხის კოლმეურნეობის მიმდინარე წლის მაჩვენებლები გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე გასულ 1971 წელს იყო.

რწმუნებულთა კრებამ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ გამგეობის მიერ 1971 წელს გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს **დიმიტრი მამისაშვილი.**

ბ. თათარიშვილი,
ა. თვალიაშვილი.

სოფელი ღონიერდება...

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა **დ. მამისაშვილმა** აღნიშნა:

ჩვენი კოლმეურნეობა ცნობილია საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების მაღალი დონით, ყოველწლიურად იზრდება ფულადი შემოსავალი, იზრდება საზოგადოებრივი ფონდები, შრომის მაღალი ანაზღაურების გამო წლითიწლობით უმჯობესდება კოლმეურნეთა ცხოვრების პირობები.

დღეს ვაჯამებთ გასულ 1971 წლის შედეგებს. იგი კოლმეურნეთა თავდადებული შრომით არის მოპოვებული.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ გასული წელი მეტად ჭირვეული იყო, ძლიერმა და ხანგრძლივმა გვალვამ ვენახის დიდი ფართობი დააზიანა საქართველოს მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობაში. გვალვამ დიდი საზარელი გავგვინინა ჩვენც. მხოლოდ კოლმეურნეთა გმირულმა შრომამ და თავდადებამ განაპირობა ყურძნის უხვი მოსავალი.

მევენახეები ზლიერ სიცხეში არც დღე, არც ღამე არ მოსცილებიან ზვარს. უძილობას არ ჩიოდნენ, მთელი ღამეების განმავლობაში ვაზს მაცოცხლებელ წყალს აპკურებდნენ. არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენოთ ჩვენი ბრიგადირები ალექსი ონოფრიშვილი, ალექსანდრე ბაღაშვილი, ეფემია ბაღაშვილი, ალექსანდრა ბაღაშვილი, ანან

მიტინგი კალკუტაში

დელი. 7 თებერვალი. (საკლესი). გუშინ კალკუტაში — დასავლეთ ბენგალიის შტატის მთავარ ქალაქში ინდოეთის მთავრობის მოწვევით ხანმოკლე ვიზიტად ჩამოვიდა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მუჯიბურ რაჰმანი. კალკუტის საერთაშორისო აეროდრომზე მუჯიბურ რაჰმანს დახვდნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი, აგრეთვე ინდოეთის მთავრობისა და დასავლეთ ბენგალიის შტატის ოფიციალური პირები.

10-მილიონიანმა კალკუტამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო მუჯიბურ რაჰმანს. გაიმართა ინდირა განდისა და მუჯიბურ რაჰმანის მოლაპარაკება.

დელი. 7 თებერვალი. (საკლესი). „ჩვენ გულითადად და გულწრფელ მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირს, რომელმაც დახმარება და ყოვლმხრივი მხარდაჭერა გაგვიწია ჩვენთვის მძიმე ჟამს", — განაცხადა აქ ვიზიტად მყოფმა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მუჯიბურ რაჰმანმა. იგი კალკუტაში ჟამოვიდა გრანდიოზულ მიტინგზე, რომელსაც ესწრებოდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი. მუჯიბურ რაჰმანმა გააკრიტიკა ამერიკის პოზიცია, რომელიც „იარაღს აწვდიდა პაკისტანის სამხედრო ხელისუფლებას, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ ამ იარაღს იყენებენ ბენგალიელი ხალხის ერთვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩასახშობად".

შეიხო რა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, რაჰმანმა ავლავ დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა მეუმხრობლობისა და ყველა ქვეყანასთან მეგობრობის პოლიტიკის ერთგულია.

ამ პოლიტიკას, განაგრძო მან, საფუძველად უდევს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის, დემოკრატიის, სოციალიზმისა და საერო სახელმწიფო დაცვის პრინციპები, სახელმწიფოსი, სადაც არ არის და არც შეიძლება იყოს რელიგიურ-თემური შუღლი. „ახლა, — ხაზი გაუსვა რაჰმანმა, ბანგლადეში სუვერენული სახელმწიფოა და ვერავითარი ძალა ვერ წაართმევს მას დამოუკიდებლობას".

შემდეგ მუჯიბურ რაჰმანმა აღნიშნა, რომ ინდოეთისა და ბანგლადეშს შორის მუდამ იქნება მტკიცე და ურღვევი მეგობრობა. მან ხაზი გაუსვა აგრეთვე, რომ ბანგლადეშის ხალხი ცდილობდა და ცდილობს მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვროს პაკისტანის ხალხთან.

„ინდოეთისა" და ბანგლადეშის მეგობრობას მტკიცე საფუძველი აქვს,— თქვა მიტინგზე ჟამოსულმა პრემიერ-მინისტრმა ი. განდიმ — და ჩვენ რომ დახმარება არ გაგვიწია ბენგალიელი ხალხისათვის ამ მძიმე ჟამს, საკუთარ ღირსებასა და პრინციპებს ვუღალატებდით. ინდოეთს აღარ შეეძლო შერიგებოდა ბანგლადეშის ხალხის ტანჯვას და აღსდგა მის დასაცავად".

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა კვლავ დაადასტურა ერთგულება მეუმხრობლობისა და ყველა ქვეყანასთან მეგობრობის პოლიტიკისადმი. „ჩვენ — თქვა მან, — ვერავინ დაგვაშინებს, თუმცა ვამჯობინებთ ყველასთან მშვიდობით ვიცხოვროთ და საკუთარი ძალების იმედი გვქონდეს ყოველგვარი განაცდელის გადალახვისას, რომელიც გზაზე გადაგვეღობება".

ნიუ-იორკი — ახალი თვითმფრინავები აგრესორს

7 თებერვალი. (საკლესი). შეერთებულმა შტატებმა კვლავ წაიქეზა ტელ-ავივის აგრესიული წრეები: ცნობილი გახდა, რომ იგი დათანხმდა მიჰყიდოს ისრაელს „ფანტომის" ტიპის 42 ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი და „სკაიჰოკ ა-4" ტიპის 90 ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი შემდგომი ორი-სამი წლის განმავლობაში.

ამ ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, რასაც უკვე დიდი ხანია ესწრაფოდა ტელ-ავივი, შეერთებულ შტატებს აღარ შეუძლია არადაინტერესებელ მხარედ მოგვიჩვენოს თავი ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მიმართ, წერს ჟურნალი „ნიუ-იორკ ტაიმსში" გაშინგტონელი კორესპონდენტი უ. ბიჩერი.

იგი აღნიშნავს, რომ თუ წინათ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდა მოეტყუებინა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და მოეჩვენებინა, რომ რაღაც „ზეგავლენას" ახდენს ტელ-ავივზე იმ იარაღის მიწოდების გაჩაანურებით, რომელსაც ვაშინგტონისგან მოითხოვდნენ ისრაელი ლიდერები, ახლა მან საბოლოოდ მოიხადა ნიღაბი.

ბიჩერი იმოწმებს საიმედო წყაროებს და წერს, რომ „ფანტომების" მიწოდება შეიძლება უკვე შემდგომ თვეში დაიწყოს". ყოველთვიურად მიაწოდებენ ორიდან ოთხამდე თვითმფრინავს, ამასთან აღნიშნულ თვითმფრინავებს ისრაელში გაგზავნიან უშუალოდ ამერიკის შეერთებული შტატების საავიაციო ქარხნების კონვეიერებიდან. „სკაიჰოკის" 36 თვითმფრინავს კი ტელ-ავივი სავსებით გამზადებულს მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ავიაციის ნაწილებიდან.

ამერიკის მთავრობას განზრახული აქვს სეხოვოს კონგრესს, რომ მომავალი საფინანსო წლის სამხედრო ბიუჯეტში დამატებით გამოპყოს 300-400 მილიონი დოლარი ისრაელისათვის სესხის მისაცემად ახალი თვითმფრინავების შესაძენად, წერს ჟურნალისტი.

ინდოჩინეთის ფრონტებზე

7 თებერვალი. (საკლესი). ინდოჩინეთიდან კვლავ მოდის ცნობები პატრიოტული ძალების წარმატებათა შესახებ ამერიკელ აგრესორთა და მათ მარიონეტთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

განთავისუფლების პრესის საგანგებო დამოწმებით ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო ეუწყება, რომ მიმდინარე წლის იანვარში სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა კონგნგაის პროვინციაში მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 900-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ამავე დროს პატრიოტებმა დაანგრიეს ორი საკონცენტრაციო ბანაკი და დაეხმარნენ იქ მყოფ ადგილობრივ მცხოვრებლებს მშობლიურ სოფლებში დაბრუნებულიყვნენ.

როგორც კოსან პატეტ-ლაოს საგაზეთო ეუწყება, ლაოსის განთავისუფლების ძალებმა გასულ თვეში მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 2.400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის ტაილანდელი დაქირავებულნი და ამერიკელი „მრჩეველები", ჩამოაგდეს 18 თვითმფრინავი, ხელთ იგდეს ან მოსპეს 18 სამხედრო მანქანა.

ამ ერთ კვირაში

აგრესორის უსვეში მანევრები ○ ეკონომიური კრობლემების ფესვები

ამერიკელ ხალხს მეტისმეტად მობეზრდა ავრესიული ომი ინდოჩინეთში. ამას მკვლევრმეტყველურად მოწმობს ომის საწინააღმდეგო მოძრაობის ფართო გაქანება შეერთებულ შტატებში. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ვერც თეთრი სახლის რკინის გალავანი, ვერც მრავალრიცხოვანი დაცვა ვერ აცილებს თავიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ვიეტნამის ომის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციებს.

„შეწყვიტეთ ხოცვა-ყლეტა!" — ასეთი პლაკატი გაინდა თეთრ სახლში — როცა იქ მომდინარეობდა კონსერვატიული ჟურნალის „რიდერს დაიჯესტის" რედაქტორებისათვის ნიქსონის მიერ მედლების გადაცემის საზეიმო ცერემონია.

ეს პლაკატი აღმართა ცერემონიაზე გამოსული ერთ-ერთი ახალგაზრის მონაწილემ კეროლ ფერრაჩიმ. სამართლებურ სიტუაციაში ომის მამაცი მოწინააღმდეგე გამოვიდა ავანსცენაზე და თქვა: „შეწყვიტეთ ვიეტნამში ხალხის დაბომბვა, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს განადგურება".

აღსანიშნავია, რომ, როგორც შემდეგ დადგინეს, ფერრაჩი არ ეკუთვნის არც ერთ ომის საწინააღმდეგო ორგანიზაციას. მისი პროტესტი იყო ამერიკელი ხალხის ფართო ფენების გულისწყრომის სტიქიური გამოხატულება, რაც გამოწვეულია ვიეტნამში პენტაგონის სისხლიანი დანაშაულით. მეორე დღეს „ნიუ-იორკ ტაიმსი" იძულებული იყო ეცალიერებინა, რომ ამერიკელთა დიდი უმრავლესობა მოითხოვს ინდოჩინეთის ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

ითვალისწინებს რა საზოგადოებრიობის ასეთ განწყობილებას გაშლილი საარჩევნო კამპანიის პირობებში, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს მანევრირებას. იგი ყოველნაირად ესწრაფვის შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ვაშინგტონი აქტიურად ეძებდეს ვიეტნამის მდგომარეობის მშვიდობიანი მოწესრიგების საშუალებებს.

სწორედ ამით იყო პირველ რიგში ნაკარნახევი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილება საჯაროდ გამოეცხადებინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა კერძო შეხვედრების ფაქტი. ამასთან დაირღვა შეთანხმება არ გაემჟღავნებინათ ამ შეხვედრების ხასიათი და უხეშად დაამახინჯეს ფაქტები.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირზე გადაჭრით ამხილა ვაშინგტონის მანევრები. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება საჯაროდ გამოეცხადებინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა კერძო შეხვედრების ფაქტი. ამასთან დაირღვა შეთანხმება არ გაემჟღავნებინათ ამ შეხვედრების ხასიათი და უხეშად დაამახინჯეს ფაქტები.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირზე გადაჭრით ამხილა ვაშინგტონის მანევრები. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება საჯაროდ გამოეცხადებინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა კერძო შეხვედრების ფაქტი. ამასთან დაირღვა შეთანხმება არ გაეგზ

ველისციხე და ველისციხელები

ფოტოკავარაგით საქართველოს მთა-ბარში



რომ ამბობენ სოფელსა და ქალაქს შორის ზღვარი წაიშალაო — ეს სწორედ ველისციხეზე ითქმის. სოფელი ჰქვია, თორემ არც მრავალსართულიანი შენობები აკლია, არც ქუჩები და პარკები... მოსახლეობა 2.800 კომლს შეადგენს, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი 8.400 აღემატება.

გასულ ხუთწლედში სოფლის ცენტრში აშენდა საშუალო სკოლის შენობა 900 მოსწავლისათვის გაყვანილ იქნა მძლავრი წყალსადენი, ქუჩებში აღიმართა ლამპიონები, გაშენდა დეკორაციული ბაღი, პავილიონი.

ამჟამად კიდევ შენდება საშუალო სკოლის ახალი ტიპური შენობა. გათვალისწინებულია გაიყვანონ ბუნებრივი გაზი, კანალიზაცია, კაპიტალურად შეკეთდეს ძველი წყალსადენი.

სოფელში კოლმეურნეებმა აღმართეს ორსართულიანი ლამაზი სახლები, ეზოები ხეხილებითა და ყვავილნარებით დაამშვენეს.

ქვემო სურათზე ჩქენ ხედავთ სოფლის ერთ-ერთ კუთხეს... ზემოთ კი იმ კოლმეურნეებს, რომლებიც ასე ამშენებენ ველისციხეს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ს პ ო რ ტ ი

თეთრი ოლიმპიადის დღეები

სწრაფი თხილამურები

ერთბაშად ორი ოლიმპიური ჯილდო მოიპოვეს 6 თებერვალის მზიან დღეს საპოროს თოვლიან ტრასებზე ჩვენმა მოთხილამურე ქალებმა. ჩემპიონის ოქროს მედალი 10 კილომეტრზე რბოლაში დაიმსახურა 29 წლის მასწავლებელმა, იფეესელმა გალინა კულაკოვამ, ვერცხლის მედალი — მისმა თანატოლმა და კოლეგამ, გორკელმა ალევტინა ოლიუნინამ.

იაპონელმა ტრამპლინიდან მხტომელებმა ერთბაშად სამი მედალი შემატეს თავიანთ გუნდს. გაიმარჯვა, როგორც ბევრი მოელოდა, იუკიოს კასაიამ, რომელიც წლევანდელ სეზონში ჩინებულ შედეგს უჩვენებს. მან მოაგროვა 244,2 ქულა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ

ვ. კულაკოვა.

აკიცუბუ კონოს — 234,8 ქულა და სეიძი აოტის — 229.5 ქულა.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გორკელი გარი ნაპალკოვი მეოცდეა, ჩვენი ნაკრების ვეტერანი ბაკურიანელი კობა წაქაძე — მეცხრე.

მწყობრად და თითქმის უშეცდომოდ შეასრულეს სავალდებულო პროგრამა მსოფლიოს ჩემპიონებმა წყვილთა ცეგურაობაში მოსკოველებმა ირინე როდნინამ და ალექსი ულანოვმა. მათ მიიღეს საუკეთესო შეფასება—104,5 ქულა.

„ვერცხლის დილა"

საპოროს თეთრი ოლიმპიადის მეხუთე დღის — 7 თებერვლის დილა ჩვენი გუნდისათვის „ვერცხლის დილა" აღმოჩნდა. მაგრამ თავისი ღირსებით მეორე მედალი, რომელიც მოსკოველმა სტუდენტმა თეოდორე სიმაშოვმა მოიპოვა 15 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში, ჩვენთვის განსაკუთრებულად ბრწყინავს. დღემდე ხომ ჩვენს მოთხილამურეებს არასოდეს არ მოუპოვებიათ ესოდენ მაღალი ჯილდო სათხილამურო სპორტში. ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა 24 წლის შვედმა ელექტროკოსმა სვენ-ო